თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #7

ქ. თბილისი 2026 წელი, 9 იანვარი, 13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნიკოლოზ კახეთელიძე, ზურაბ აბაშიძე, ბექა დავითუალიანი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნინო ვარდოსანიძე, კონსტანტინე ზარნაძე, გივი ჩხარტიშვილი, ალექსანდრე ასათიანი, ზაქარია წიკლაური, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი:

სხდომას თავმჯდომარეობდა: ნიკოლოზ კახეთელიძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი
ლევან მიქავა - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის No 5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ **(საკრებულოს #12-032600828-03- 08.01.2026)**

კომისიის თავმჯდომარე ბატონი ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის No 5-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს #12-032600828- 03- 08.01.2026)

კომისიის სხდომაზე პროექტი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2026 წლის 1

იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (17 169,5 ათასი ლარი (მათ შორის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში 2025 წელს ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხული ნაშთი - 5 170,6 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 44,6 ათასი ლარით (საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის N655 დადგენილება), ხოლო მცირდება სხვა შემოსავლების ნაწილში სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 44,6 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 17 169,5 ათასი ლარით და შეადგენს 2 210 558,2 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის და რაიონის გამგეობების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 12 000,0 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (კოდი 07 02 05) – 2 347,0 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები გლდანის რაიონში (კოდი 07 02 06 01) – 392,2 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ნაძალადევის რაიონში (კოდი 07 02 06 02) – 141,6 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დიდუბის რაიონში (კოდი 07 02 06 03) – 992,9 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 07 02 06 04) – 173,8 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვაკის რაიონში (კოდი 07 02 06 05) – 95,4 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები საბურთალოს რაიონში (კოდი 07 02 06 06) – 112,6 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ისნის რაიონში (კოდი 07 02 06 07) – 86,4 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები სამგორის რაიონში (კოდი 07 02 06 08) – 455,5 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები კრწანისის რაიონში (კოდი 07 02 06 09) – 164,0 2 ათასი ლარით, თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მთაწმინდის რაიონში (კოდი 07 02 06 10) – 99,4 ათასი ლარით. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობიდან გამომდინარე, დაზუსტდა ასიგნებები შემდეგ პროგრამებში, კერძოდ: იზრდება გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) პროგრამის ასიგნებები – 36,3 ათასი ლარით, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) – 36,3 ათასი ლარით, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) – 36,3 ათასი ლარით. ბ) პროექტის მიღებასთან დაკავშირებული საფინანსო - ეკონომიკური გაანგარიშება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 193 388,7 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 17 169,5 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 123 388,7 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: ⎫ გადასახადები 1 022 413,6 ათასი ლარი, მათ შორის: - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 282 000,0 ათასი ლარი; - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 48 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი – 20 000,0 ათასი ლარი; - დამატებული ღირებულების გადასახადი – 672 413,6 ათასი ლარი. ⎭ გრანტები 660 480,7 ათასი ლარი, მათ შორის: - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული

გრანტები - 405,0 ათასი ლარი; - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 4 595,7 ათასი ლარი; - კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 630 000,0 ათასი ლარი; - სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 25 480,0 თასი ლარი. ⎫ სხვა შემოსავლები 440 494,4 ათასი ლარი, მათ შორის: - შემოსავალი საკუთრებიდან – 31 000,0 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 50 000,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 112 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 132 000,0 ათასი ლარი; - სანებართვო მოსაკრებელი - 28 026,8 ათასი ლარი; - სხვადასხვა შემოსავლები – 87 467,6 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 210 558,2 ათასი ლარით, მათ შორის: 3 ⎫ ხარჯები განსაზღვრულია - 1 796 630,8 ათასი ლარი; ⎫ არაფინანსური აქტივების ზრდა – 374 256,6 ათასი ლარი; ⎫ ვალდებულებების კლება – 39 670,9 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 326 757,9 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 304 256,6 ათას ლარს, მათ შორის: – არაფინანსური აქტივების ზრდა – 374 256,6 ათასი ლარი. – არაფინანსური აქტივების კლება – 70 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (17 169,5) ათას ლარს, მათ შორის: – ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ცვლილება) – 17 169,5 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (39 670,9) ათას ლარს, მათ შორის: – ვალდებულებების კლება 39 670,9 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 22 501,4 ათასი ლარით.

საკითხზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ნიკოლოზ კახეთელიძე